



# ფინანსური აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვაშტკიცებ“

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და  
უსაფრთხოების სფეროს აუდიტის  
დეპარტამენტის უფროსი  
სოფიო დვალიშვილი

*[Handwritten signature]*

1 თებერვალი 2021წელი

N 11/36

ეგზ.: N 1

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს  
2019 წლის კონსოლიდირებული ფინანსური  
ანგარიშგების აუდიტი

|                 |                                                 |    |
|-----------------|-------------------------------------------------|----|
| ძირითადი ნაწილი | ტერმინები და შემოკლებები                        | 2  |
|                 | ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ      | 3  |
| დანართები       | 1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები              | 5  |
|                 | 2. სხვა გარემოებები                             | 20 |
|                 | 3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა | 27 |
|                 | ფინანსური ანგარიშგების ფორმები                  | 30 |
|                 | კონსოლიდირებული ერთეულები                       | 35 |
|                 | საკონტაქტო ინფორმაცია                           | 36 |

## ტერმინები და შემოკლებები

**ანგარიშგება** – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება;

**სამინისტრო** – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

**დელტა** - სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი დელტა;

**სააღრიცხვო ინსტრუქცია** – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“;

**სამხედრო ქვედანაყოფი** - ფინანსური აუდიტის მიზნებისთვის თავდაცვის ძალებში შემავალი ის სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან ფინანსების მართვის დეპარტამენტთან;

**წვრთნების სარდლობა** - სამინისტროს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა;

**ავიაციის სარდლობა** - სამინისტროს თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობა;

**ჯალუსი** - ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა;

**სპეციფიკური დანიშნულების აქტივები** - ანგარიშის მიზნებისთვის სპეციფიკური დანიშნულების აქტივები განხილულია, როგორც საბრძოლო მასალა, იარაღი, ტყვია-წამალი და სხვა მსგავსი ტიპის აქტივები;

**ჰოსპიტალი** - სსიპ - გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი.

## ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენელი დაწესებულება, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას თავდაცვის სფეროში.

2019 წლის განმავლობაში სამინისტროს მმართველობის სფეროში იყო 12 საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში არსებული სსიპ-ების ბიუჯეტისა და საკასო ხარჯების შესახებ.<sup>1</sup>

**ცხრილი N1:** ინფორმაცია 2019 წლის დამტკიცებული/დაზუსტებული საბიუჯეტო სახსრების და ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესახებ (ლარი).

| დასახელება                       | დამტკიცებული             | დაზუსტებული | სხვაობა % | საკასო                   |
|----------------------------------|--------------------------|-------------|-----------|--------------------------|
| საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | 820,000,000              | 820,459,697 | 0%        | 822,882,716 <sup>2</sup> |
| ხარჯები                          | 631,523,000              | 644,477,577 | 2%        | 646,874,621              |
| შრომის ანაზღაურება               | 376,394,000              | 370,364,843 | -2%       | 370,313,075              |
| არაფინანსური აქტივების ზრდა      | 188,477,000 <sup>3</sup> | 175,982,120 | -7%       | 176,008,095              |

**ცხრილი N2:** ინფორმაცია ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების განაწილების შესახებ (ლარი).

|                                                                                           |             |       |
|-------------------------------------------------------------------------------------------|-------------|-------|
| საბალანსო ერთეულის დასახელება                                                             | 822,882,716 | 100%  |
| სამინისტროს აპარატი                                                                       | 739,271,420 | 89,8% |
| სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა                                         | 767,305     | 0.1%  |
| სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი                       | 3,567,842   | 0.4%  |
| სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია               | 14,185,385  | 1.7%  |
| სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო                                                            | 1,469,130   | 0.2%  |
| სსიპ - გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი | 7,426,909   | 0.9%  |
| სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი დელტა                              | 50,177,118  | 6.1%  |
| სსიპ - გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი                                                   | 1,634,289   | 0.2%  |
| სსიპ - სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი                                      | 1,159,381   | 0.1%  |
| სსიპ - რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი                                        | 632,370     | 0.1%  |
| სსიპ - ინსტიტუტი ოპტიკა                                                                   | 433,877     | 0.1%  |
| სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი                      | 1,503,839   | 0.2%  |
| სსიპ - მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტი                                               | 653,849     | 0.1%  |

<sup>1</sup> სამინისტროს დაფინანსების ძირითადი წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი. საკუთარი შემოსავლები დაფინანსების მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს. მაგალითად, 2019 წელს დელტამ შემოსავლების სახით 1,228,408 ლარი მიიღო, ხოლო სამხედრო ჰოსპიტალმა - 10,745,40 ლარი.

<sup>2</sup> საკასო ხარჯი აღემატება დაზუსტებულ გეგმას, ვინაიდან მოიცავს მიზნობრივ გრანტს და მთავრობის სარეზერვო ფონდის რესურსებს.

<sup>3</sup> „არაფინანსური აქტივების“ მუხლში დამტკიცებული გეგმის შემცირება გამოწვეულია ისეთი ხარჯების ზრდის შედეგად, როგორიცაა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ხარჯები, სოციალური დახმარებები, კომუნალური ხარჯები, ლოჯისტიკური და საერთაშორისო ოპერაციებში წარგზავნილი შემადგენლობის სამივლინებო თანხების ანაზღაურება.

# სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას

## დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

### მოსაზრება

#### უარყოფითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და მის კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების<sup>4</sup> (ერთად „ჯგუფის“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს<sup>5</sup> მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართულ შენიშვნებს, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი დასკვნის - „უარყოფითი მოსაზრების საფუძველი“ აბზაცში აღწერილი საკითხ(ებ)ის მნიშვნელობის გამო, თავდაცვის სამინისტროს თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებული არ არის საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სათანადო საფუძვლების<sup>6</sup> შესაბამისად.

<sup>4</sup> იხ. დანართი „კონსოლიდირებული ერთეულები“.

<sup>5</sup> „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება, დანართები 1-დან 13-ის ჩათვლით.

<sup>6</sup> „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

## 1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

### 1.1 ფინანსური აღრიცხვა- ანგარიშების სისტემის ნაკლოვანებები

სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში,<sup>7</sup> ჩართულია სამოქალაქო ოფისი და თავდაცვის ძალების შემადგენლობა.

**ცხრილი N3:** თავდაცვის ძალების სტრუქტურული ერთეულები და მათი ქვედანაყოფები, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან სამინისტროსთან ფინანსური ინფორმაციის წარდგენაზე.

|                     |                                                        |
|---------------------|--------------------------------------------------------|
| თავდაცვის<br>ძალები | სამედიცინო დეპარტამენტი                                |
|                     | კავშირგაბმულობის ცენტრი                                |
|                     | ჯალუსი (დაქვემდებარებული 7 ქვედანაყოფი)                |
|                     | ავიაციის სარდლობა (დაქვემდებარებული 1 ქვედანაყოფი)     |
|                     | წვრთნების სარდლობა                                     |
|                     | აღმოსავლეთის სარდლობა (დაქვემდებარებული 3 ქვედანაყოფი) |
|                     | დასავლეთის სარდლობა (დაქვემდებარებული 4 ქვედანაყოფი)   |
|                     | სამხედრო პოლიცია                                       |
|                     | სამხედრო დაზვერვა                                      |
|                     | სპეციალური ოპერაციების ძალები                          |
|                     | ეროვნული გვარდია                                       |

აუდიტის შედეგად გამოვლინდა ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არსებული ნაკლოვანებები, რაც ვერ უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების უტყუარ და სამართლიან წარდგენას:

- ✓ ჯალუსის სარდლობის ფუნქცია-მოვალეობას წარმოადგენს მთლიანად თავდაცვის ძალების აქტივების კონტროლი და აღრიცხვა. იგი ვალდებულია გააკონტროლოს და აღრიცხოს როგორც საკუთარი სარდლობის, ასევე სამინისტროს ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის უძრავ-მოდრავი ქონება და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები. აღნიშნული კი ხორციელდება მხოლოდ მონაცემთა რაოდენობრივი შედარების გზით.

*შესაბამისად, თანხობრივი მონაცემების კონტროლი ჯალუსის მიერ არ ხორციელდება.*

- ✓ სარდლობებსა და ბრიგადებში ბუღალტერ-აღმრიცხველები აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვას აწარმოებენ 2 განსხვავებული ფორმით: აღრიცხვის ჟურნალებში რაოდენობრივად და EXCEL-ის ფორმატში თანხობრივად (აქტივების მიღება-გასვლის ოპერაციები). აქტივების დიდი ნაწილი მხოლოდ რაოდენობრივად არის აღრიცხული 1994 წელს დამტკიცებული სახელმძღვანელოს<sup>8</sup> შესაბამისად, რომელიც არ არის შესაბამისობაში აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან<sup>9</sup>. ამასთანავე, განსხვავებული ფორმატისა და არაიდენტიფიცირებული მონაცემების გამო<sup>10</sup>, რაოდენობრივი აღრიცხვისა და თანხობრივი ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირება პრაქტიკულად შეუძლებელია.

<sup>7</sup> სამინისტროს დაქვემდებარებული ერთეულების ანგარიშგება, გარდა სხვა საბალანსო ერთეულებისა (დელტა, სამხედრო ჰოსპიტალი და სხვა)

<sup>8</sup> საქართველოს შეიარაღებულ ძალებში შეიარაღების, ტექნიკის, ქონების და სხვა მატერიალური საშუალებების აღრიცხვის სახელმძღვანელო.

<sup>9</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების“ ინსტრუქცია.

<sup>10</sup> ინფორმაცია მოიცავს გრძელვადიანი აქტივების, მატერიალური მარაგებისა და მცირეფასიანი აქტივების მოძრაობას (მიღება/გასვლა), მაგრამ არ მოიცავს აქტივების აღრიცხვისთვის სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, მაგალითად: დასახელება, მოდელი, პირველადი დოკუმენტი, რაოდენობა.

- ✓ ფინანსების მართვის დეპარტამენტში სამხედრო ქვედანაყოფებიდან მიღებული ფინანსური ინფორმაცია აღირიცხება მხოლოდ ყოველთვიური ჯამური თანხით.<sup>11</sup>

*შესაბამისად, სარდლობებისა და ქვედანაყოფების დონეზე სააღრიცხვო მონაცემები არაინფორმაციულია, ხოლო ფინანსების მართვის დეპარტამენტის მიერ სრულყოფილად ვერ ხორციელდება ეკონომიკური მოვლენების კონტროლი.*

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარდლობებისა და მათი ქვედანაყოფების მიერ სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტში და ჯლუსში დამოუკიდებლად (ინდივიდუალურ დონეზე) წარმოდგენილი აქტივების რაოდენობრივი მონაცემები და აქტივებთან დაკავშირებული სხვა ფინანსური ინფორმაცია, ვერ უზრუნველყოფს ურთიერთშესადარისობასა და სანდოობას. კერძოდ, სამხედრო ქვედანაყოფების სააღრიცხვო ინფორმაციაში მოცემული საბალანსო ანგარიშების ნაშთები არსებითად განსხვავდება მათ შესახებ ფინანსების მართვის დეპარტამენტში არსებული ნაშთებისაგან. 2019 წლის ბოლოს ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ სხვადასხვა მონაცემების უზუსტობამ ჯამურად 697,406,534 ლარი შეადგინა. *სამინისტროს განმარტებით, 2020 წელს განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები მონაცემებს შორის სხვაობების შემცირების მიზნით და აღნიშნული უზუსტობების ჯამური მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა. აღნიშნული მიმართულებით პრობლემის გამოსწორების მიზნით, ინტენსიურად გრძელდება სამუშაო პროცესი.*

სამინისტროს არ აქვს დეტალურად შესწავლილი ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ სხვადასხვა მონაცემების უზუსტობის გამომწვევი მიზეზები,<sup>12</sup> თუმცა აღსანიშნავია, რომ უზუსტობები ძირითადად გამოწვეულია აღრიცხვა-ანგარიშების პროცესის ნაკლოვანებებით და არაერთგვაროვანი მიდგომების გამოყენებით.<sup>13</sup> ამასთან, ხშირ შემთხვევაში არ არის დროული და ეფექტიანი კომუნიკაცია სტრუქტურულ ერთეულებს შორის, ქვედანაყოფებსა და სამინისტროში ეკონომიკური მოვლენები აისახება სხვადასხვა პერიოდში. მაგალითად:

- ✓ 2019 წლის დეკემბრის თვეში გრანტის სახით მიღებული<sup>14</sup> 4,758,776 ლარის სატრანსპორტო საშუალებები, ქვედანაყოფის მიერ აღრიცხულია დაგვიანებით, 2020 წლის თებერვალში.
- ✓ ზოგიერთ შემთხვევაში, სამინისტროს მიერ თანხობრივად აღრიცხულია ისეთი აქტივები, რომლებიც განბაჟებული არ არის, ხოლო ქვედანაყოფები ასეთ აქტივებს აღრიცხავენ მხოლოდ რაოდენობრივად.<sup>15</sup> მაგალითად, 2019 წელს ქვედანაყოფების მიერ მიღებული 3,734,819

<sup>11</sup> თუ აქტივები მხოლოდ რაოდენობრივად არის აღრიცხული და თანხობრივი შეფასება არ აქვს, ასეთ შემთხვევაში მისი რაოდენობრივი ხარჯვა/გასვლა კონტროლდება ქვედანაყოფის და ჯლუსის დონეზე, თუმცა ინფორმაცია არ ხვდება ფინანსების მართვის დეპარტამენტში.

<sup>12</sup> ობიექტის განმარტებით, ნაშთებს შორის არსებული სხვაობის ძირითადი ნაწილი დაკავშირებულია 2016 წელს ჯლუსიდან მიღებულ არასრულ, არასწორ ინფორმაციასთან.

<sup>13</sup> სამინისტროს განმარტებით, უზუსტობები არ არის გამომწვეული დანაკლისის ან/და აღურიცხაობის შედეგად, არამედ წარმოადგენს ძირითადად აღრიცხვის სხვადასხვა მეთოდისა და მიდგომის გამოყენების, ქსელური პროგრამული უზრუნველყოფის არქონის და მექანიკური შეცდომების შედარებით გვიან აღმოჩენის შედეგს.

<sup>14</sup> მიღება-ჩაბარების აქტი #298-01.

<sup>15</sup> ქვედანაყოფებში არ ხდება აქტივების მიღება ფასების მითითებით. ფასების დადგენის მიზნით ქვედანაყოფებს უწევთ დამატებითი პროცედურების განხორციელება. კერძოდ, სამინისტროში იგზავნება წერილები, რათა დადგინდეს მიღებული აქტივების შესაბამისი ღირებულება, შემდგომში მათი აღრიცხვის მიზნით. აღნიშნული პროცესი არ არის მოქნილი და საპასუხო რეაგირებები ხშირად დაგვიანებულია.

ლარის<sup>16</sup> ღირებულების განუზღვრელი აქტივები, თანხობრივად აღრიცხული არ არის.

- ✓ II ქვეით ბრიგადას 2018 წლის აგვისტოში გადაეცა 1,603,967 ლარის სათადარიგო ნაწილები, რომელიც ბრიგადის მიერ აღრიცხულია მხოლოდ რაოდენობრივად.
- ✓ ერთ-ერთ კომპანიასთან არსებული დებიტორული დავალიანება, ღირებულებით 39,280 ლარი, ჩამოწერილია სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც<sup>17</sup>, კომპანიას დაევალა ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივების სამინისტროსთვის მიწოდება. მიუხედავად იმისა, რომ მიმწოდებელს დაკისრებული ვალდებულება არ შეუსრულებია, სამინისტროს მიერ მოხდა აღნიშნული დავალიანების ჩამოწერა და აქტივების შემოსავლებში აღრიცხვა, ხოლო ქვედანაყოფის მიერ მარაგები მიღებული და შესაბამისად აღრიცხული არ არის.
- ✓ საინჟინრო ბრიგადამ 2019 წელს სამხედრო სისტემებს დაარიცხა 1,936,540 ლარის ცვეთა, თუმცა სამინისტროს არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული აღნიშნული კატეგორიის ქონებაზე ცვეთის ნორმა.

მონაცემთა სხვაობის მიზეზები დაკავშირებულია სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობასთან და რიგ შემთხვევებში ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელი პირების კომპეტენციასთან.<sup>18</sup>

### ჰოსპიტალი

- ✓ ფინანსური ანგარიშგების<sup>19</sup> 2019 წლის საწყისი ნაშთების შესახებ ინფორმაცია, არ შეესაბამება საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებს. ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამა ORIS-ში არსებული 2019 წლის საწყისი ნაშთები, შესაბამისი აღრიცხვის მონაცემების გარეშე არის წარმოდგენილი და მისადაგებულია 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების ბალანსის საბოლოო ნაშთებთან.
- ✓ 2019 წლის ბუღალტრული აღრიცხვა დაუსრულებელია.<sup>20</sup> ბრუნვითი უწყისის საბოლოო ნაშთები ვალდებულებებისა და კაპიტალის ნაწილში არ ედრება 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების ბალანსს.
- ✓ ბუღალტრული აღრიცხვა არ წარმოებს უწყვეტად, აღრიცხვის ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით.
- ✓ არ არის შემუშავებული ბუღალტრულ ანგარიშთა გეგმის სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად. ასევე, არ წარმოებს ანალიზური აღრიცხვა ბუღალტრულ პროგრამაში.

**ყოველივე ზემოაღნიშნული ხელს უშლის ფინანსური აღრიცხვის პროცესებს, გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ საბოლოო ნაშთებზე და წარმოშობს მნიშვნელოვან უზუსტობებს.**

<sup>16</sup> ხელშეკრულება 18/124-შ; 17/141-ს; 19/73-ს; 16/45-შ/ს; 17/143-შ/ს და 19/94-ს. აუდიტის მიერ იდენტიფიცირებულია 1,127,716 ამერიკული დოლარისა და 24,885 ევროს ღირებულების განუზღვრელი აქტივები; აღნიშნული წარმოადგენს კონკრეტულ მაგალითს, თუმცა ასეთი ტიპის აქტივების რაოდენობა სავარაუდოდ გაცილებით მეტია.

<sup>17</sup> 12.04.2013წ. საიდუმლო ხელშეკრულება N155; თბილისის სააპელაციო სასამართლო - საქმე 28/560-15 10.12.18წ.

<sup>18</sup> აუდიტორული პროცედურებით გამოვლინდა, რომ ქვედანაყოფების დონეზე აღმრიცხვეთა ნაწილს ფინანსური მიმართულებით საკვალიფიკაციო მონაცემები (შესაბამისი განათლება) არ აქვთ; ასევე გავლილი არ აქვთ შესაბამისი ტრენინგები.

<sup>19</sup> ფორმა N1-ის (ბალანსის) და დანართი N1-ის

<sup>20</sup> არ არის შესრულებული ანგარიშგების საბოლოო გადახურვები

სამინისტროს განმარტებით, ჰოსპიტალში არსებული ანგარიშთა გეგმის ნაკლოვანებები აღმოფხვრილია 2020 წლის იანვრიდან, ამავე პერიოდიდან წარმოებს ანალიზური აღრიცხვა და ფინანსურ ანგარიშგებაში გასწორებულია თანხების მიკუთვნების ნაკლოვანება.

### ინვენტარიზაციის ნაკლოვანებები

აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესების სისტემური ნაკლოვანებებისა და უზუსტობების შედეგად, აუდიტის ჯგუფისთვის ასევე არ არის სარწმუნო ჩატარებული ინვენტარიზაციები და მათი შედეგები. კერძოდ, ვერ ვიღებთ რწმუნებას, თუ როგორ მოხდა **სამინისტროში** აქტივების შემოწმება და მათი აღრიცხვის სისწორის დადგენა ბუღალტრული მონაცემებისა და ფაქტობრივი ნაშთების შედარების გზით იმ პირობებში, როდესაც:

- ✓ აქტივების უმრავლესობა არ არის ასახული ღირებულებით და მხოლოდ რაოდენობრივი მონაცემებია წარმოდგენილი.<sup>21</sup>
- ✓ სამხედრო ქვედანაყოფების წლიური ნაშთები არსებითად განსხვავდება როგორც ფინანსების დეპარტამენტში არსებული ბრუნვითი უწყისების ნაშთებისგან, ისე ჯლუსის მიერ წარდგენილი ნაშთებისგან.
- ✓ 2019 წლის საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმი დამტკიცებულია 2020 წლის 3 თებერვალს, თუმცა ფინანსების მართვის დეპარტამენტში არ არის წარმოდგენილი შენიშვნები ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგების შესახებ, რომლის გათვალისწინებაც უნდა მომხდარიყო 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

სამინისტროს განმარტებით, ინვენტარიზაციის ჩატარების ნაკლოვანების მნიშვნელოვან ნაწილს, წარმოადგენს აქტივების ღირებულების გარეშე არსებობა. ვინაიდან უცნობია აქტივების ფასი, ინვენტარიზაცია ხშირ შემთხვევებში წარმოებს მხოლოდ რაოდენობრივად.

*სამინისტროს განმარტებით, მიმდინარეობს სამუშაო პროცესი აქტივების შეფასებასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად და ასევე, ინვენტარიზაციის პროცესის სრულყოფის მიზნით.*

აქტივების რაოდენობრივი აღრიცხვის პრაქტიკა ძალოვანი უწყებებისთვის დამახასიათებელია. ისტორიული კონტექსტიდან და საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, აღნიშნული ნაკლოვანება გრძელვადიან პროცესს წარმოადგენს და ასევე დაკავშირებულია დანახარჯებთან.

### დელტას 2019 წლის ინვენტარიზაციის აქტის<sup>22</sup> მიხედვით:

- ✓ ვერ მოხერხდა მატერიალური ფასეულობების გარკვეული ნაწილის იდენტიფიცირება და შედარება საფინანსო დეპარტამენტის ნაშთებთან. აღნიშნულის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დელტას სარგებლობაში არსებულ ფართზე განთავსებულია დელტას მიერ დაფუძნებული ან მართვის უფლებით გადაცემული სხვადასხვა კომპანიები, რომელთა აქტივებსაც მინიჭებული ჰქონდა დელტას ინვენტარის საიდენტიფიკაციო ნომრები.

<sup>21</sup> წონა, ერთეული, მოცულობა და ა.შ.

<sup>22</sup> ინვენტარიზაციის აქტი N079 – 16/04/2020

- ✓ ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა ფონიჭალის სადემილიტარიზაციო და კოჯრის ბაზებში.
- ✓ 2019 წლის ინვენტარიზაციის შედეგები არ არის ასახული 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

2019 წელს **ჰოსპიტალში** დაიწყო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია, თუმცა პროცესი შესაბამის ვადებში ვერ დასრულდა და შედეგები არ ასახულა ფინანსურ ანგარიშგებაში.

დელტას და ჰოსპიტალის განმარტებით, 2020 წელს განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები ინვენტარიზაციის პროცესის სრულყოფილად ჩასატარებლად და შედეგების ანგარიშგებაში ასახვის მიზნით.

*ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემა ვერ უზრუნველყოფს ოპერაციებისა და ნაშთების შესახებ მიღებული ინფორმაციის საიმედოობას და წარმოშობს დანაკარგების რისკებს.*

## 1.2 მოთხოვნები და ვალდებულებები

### 1.2.1 დებიტორული დავალიანებები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანების ნაშთი შეადგენს 421,891,556 ლარს, საიდანაც 92% წარმოადგენს სამინისტროს აპარატის მოთხოვნებს.

**სამინისტროს** ბალანსზე აღრიცხული მთლიანი დებიტორული დავალიანების დაახლოებით 55% - თანხით 238,964,804 ლარი, წარმოადგენს ისეთ დავალიანებებს, რომლებზეც მათი წარმოქმნიდან (1996-2010 წელი) არ განხორციელებულა ოპერაციები, შესაბამისად, ხანდაზმულობიდან გამომდინარე, მათი დაფარვის ალბათობა სავარაუდოდ მცირეა. აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა აღნიშნული პერიოდის 143,497,000 ლარის დებიტორული დავალიანების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტები.<sup>23</sup> სამინისტროს განმარტებით, დავალიანებების მნიშვნელოვან ნაწილთან დაკავშირებით, სამართლებრივი შესწავლა მიმდინარეობდა ან/და მიმდინარეობს და აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები.<sup>24</sup> მაგალითად, 2007 წელს ერთ-ერთი კომპანიის მიმართ<sup>25</sup> წარმოქმნილია 8,251,400 ლარის მოთხოვნა. აღნიშნულ საკითხზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, ვინაიდან ვერ დგინდება არის თუ არა მოწოდებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი.

<sup>23</sup> აღნიშნული საკითხები ასევე განხილულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2017 წლის დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიშში, რაც ისტორიულ პრობლემას წარმოადგენს და აღნიშნულია გასული წლების აუდიტის ანგარიშგებშიც.

<sup>24</sup> სამინისტროს განმარტებით, გენერალური ინსპექციის მიერ მიმდინარეობდა და მიმდინარეობს სამინისტროს დებიტორი ორგანიზაციების შესწავლა.

<sup>25</sup> საიდუმლო ხელშეკრულების ფარგლებში.

დელტას ბალანსზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 25,818,546 ლარის ოდენობის დებიტორული დავალიანება.

2019 წელს წარმოქმნილი 23,344,909 ლარის დებიტორული დავალიანებიდან 16,986,278 ლარი (65%) წარმოადგენს შპს „მშენებელი 2011“-ის მიერ აღებულ ვალდებულებებს, რომელიც დაკავშირებულია თავდაცვის სამინისტროსთვის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულებასთან და წარმოადგენს მიმდინარე დავალიანებას,<sup>26</sup> ხოლო დანარჩენი აქტივების, საქონელისა და მომსახურების მიღებაზე წინასწარი ანგარიშსწორების შედეგად წარმოქმნილი დავალიანებებია. დელტას 2020 წლის შიდა აუდიტის დასკვნის მიხედვით, ქვემოთ წარმოდგენილი საკითხები შემდგომი შესწავლისთვის გადაგზავნილია სამართალდამცავ უწყებებში და აღნიშნულთან დაკავშირებით დამატებით მიმდინარეობს მუშაობა<sup>27</sup> კერძოდ:

- სს „თამ/თბილავიამშენისთვის“ წინასწარი ანგარიშსწორებით 2019 წელს გადარიცხულია 2,312,999 ლარი, მათ შორის 1,128,000 ლარი მანქანა დანადგარის შესაძენად,<sup>28</sup> რომელიც ამ პერიოდამდე არ არის მიღებული.<sup>29</sup>
- 1,627,970 ლარის დებიტორული დავალიანება წარმოადგენს შპს „თბილავიამშენთან“ 2015 წელს გაფორმებული ხელშეკრულების<sup>30</sup> ფარგლებში გადარიცხულ ავანსს. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული აქტივების ნაწილი აღმოჩნდა უხარისხო და დაუბრუნდა მიმწოდებელს.<sup>31</sup>

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კრედიტორული დავალიანების ნაშთი 60,260,432 ლარს შეადგენს.

## 1.2.2 კრედიტორული დავალიანებები

სამინისტროს აპარატის 2019 წლის ბოლოს არსებული კრედიტორული დავალიანების ნაშთი შეადგენს 57,897,121 ლარს, საიდანაც დაახლოებით 60% წარმოადგენს საქონლის განბაჟების შედეგად ბიუჯეტის წინაშე არსებულ დავალიანებას. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს ბალანსზე რიცხული მთლიანი კრედიტორული დავალიანებიდან, 14,766,968 ლარი წარმოშობილია 1997-2010 წლებში, საიდანაც 11,454,700 ლარის დავალიანება დაკავშირებულია „შრომის ანაზღაურების“ მუხლთან.

ზემოაღნიშნული შეუსაბამოებები და ნაკლოვანებები განპირობებულია იმ გარემოებებით, რომ სამინისტროში არ ტარდება მოთხოვნება-ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობის შესაბამისად. დებიტორ ორგანიზაციებთან არ ფორმდება ურთიერთშედეგების აქტები, ძველი პერიოდის დავალიანებების მნიშვნელოვანი ნაწილი სამართლებრივი შესწავლის საგანს წარმოადგენს, თუმცა სამინისტროსთვის უცნობია შესწავლის შედეგები.

<sup>26</sup> საბიუჯეტო კოდი - 29 05 02

<sup>27</sup> სამინისტროს განმარტებით, დანადგარების შეძენის მიზნით გადარიცხული თანხა - 1,128,000 ლარი შიდა აუდიტის დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება ბიუჯეტში დაბრუნებას. ასევე, აქტივების შეძენის მიზნით გადარიცხული თანხიდან - 295,778.43 ლარი, 2020 წლის სამხრეთი მორიგების აქტის (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სსიპ სსსტ „დელტასა“ და შპს „თბილავიამშენს“ შორის) საფუძველზე დაბრუნდება სახელმწიფო ბიუჯეტში.

<sup>28</sup> ხელშეკრულება N19-207 – 15.07.2019

<sup>29</sup> შიდა აუდიტის დასკვნა N CON/-2020-07-02-5653.

<sup>30</sup> ხელშეკრულება N014 საიდუმლო - 30/03/2015წ;

<sup>31</sup> შიდა აუდიტის დასკვნა- N01029;

სამინისტროს განმარტებით, მიმდინარეობს სამუშაო პროცესი ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

*ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანების ნაშთი - 421,891,556 ლარი და კრედიტორული დავალიანების ნაშთი - 60,260,432 ლარი, არ ასახავს მათ რეალურ ოდენობას, რაც არსებით გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე.*

### 1.3 მატერიალური მარაგები

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი „მატერიალური მარაგების“ ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 1,115,336,176 ლარს, საიდანაც 97% წარმოადგენს სამინისტროს აპარატის მატერიალურ მარაგებს.

**სამინისტროს მატერიალურ მარაგებში გამოვლინდა შემდეგი უზუსტობები:**

- ✓ 2019 წლის აპრილის თვეში სამხედრო მარაგების მუხლში არასწორად არის აღრიცხული 1,151,729 ლარის ღირებულების საველე-აღჭურვილობა, რომელიც დელტამ 2018 წელს დროებითი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე გადასცა ქვედანაყოფებს, სადაც აღნიშნული ქონება აღირიცხა მხოლოდ რაოდენობრივად და მიმდინარე მდგომარეობით ექსპლუატაციაშია, შესაბამისად, აღარ წარმოადგენს მარაგს.
- ✓ სხვადასხვა ქვედანაყოფებში არსებული 3,218,238 ლარის სპეციფიკური დანიშნულების ქონება, აღრიცხული უნდა იყოს „ძირითად აქტივებში“ ნაცვლად „მატერიალური მარაგებისა“.<sup>32</sup>
- ✓ აუდიტორული პროცედურების განხორციელების მიზნით შერჩეულ იქნა ერთ-ერთი ქვედანაყოფი - სატანკო ქარხნის ჯავშან-ტექნიკის საამქრო. ქვედანაყოფი ემსახურება სამინისტროს ბალანსზე არსებული ჯავშან-ტექნიკის, შეიარაღებისა და საარტილერიო ტექნიკის მიმდინარე შეკეთებასა და არსებით გაუმჯობესებას, რაც ახანგრძლივებს ტექნიკის სასარგებლო მომსახურების ვადას.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი შეუსაბამობები ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციასთან და ეკონომიკურ მოვლენებთან დაკავშირებულ პროცესებთან, კერძოდ:

- საწყობსა და საცავებში ქონების დაახლოებით 95% აღრიცხულია ღირებულების გარეშე, რაც ხელს უშლის ტექნიკაზე გაწეული ხარჯების მოცულობის დადგენას. მაგალითად, 2019 წელს ერთ-ერთ ტექნიკაზე დამონტაჟებულია ამავე წელს მიღებული, 38,500 ამერიკული დოლარის ღირებულების განუბაჟებელი ძრავი, რომელიც ფინანსურად არ არის აღრიცხული. ქონების ფასგარეშე აღრიცხვის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს სამინისტროში წლების განმავლობაში განუბაჟებელი საქონლის მიღება/ხარჯვის დამკვიდრებული პრაქტიკა.

<sup>32</sup> ქონება, რომელიც მიეკუთვნება გრძელვადიანი აქტივების კლასიფიკაციას, როგორცაა სხვადასხვა მექანიზმები და სისტემები, საარტილერიო დანადგარები და მსუბუქი შეიარაღება.

- ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული, 8,379,467 ლარის ჯავშან-ტექნიკის სათადარიგო ნაწილები წარმოადგენს მხოლოდ ცენტრალური საწყობის ნაშთს. ქარხნის სხვა საცავებში ინახება 2007 წლიდან 2019 წლის ჩათვლით მიღებული მნიშვნელოვანი რაოდენობის ქონება, რომელიც ღირებულებით აღრიცხული არ არის. ამასთან, ცენტრალურ საწყობში არსებული 3,677,733 ლარის ღირებულების მარაგები<sup>33</sup> უკვე გახარჯულია. შესაბამისად, არსებული ნაშთი არ ასახავს მარაგების რეალურ ოდენობას.
- ძირითადი აქტივების დაშლის შედეგად მიღებული ქონება არ არის შეფასებული, აღრიცხული შემოსავლებში და ინახება საცავებში სხვა აქტივებთან ერთად, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის მათ იდენტიფიცირებას.
- ჯავშან-ტექნიკაზე გაწეული ყველა სახის მომსახურება აისახება მიმდინარე ხარჯებში. არ ხდება ისეთი სათადარიგო ნაწილების ძირითად აქტივებად აღიარება, რომლებიც იწვევს მათ არსებით გაუმჯობესებას და უნდა აღირიცხებოდეს როგორც არაფინანსური აქტივების მიღება.<sup>34</sup>
- 2019 წელს 1,113,832 ლარის ღირებულების მატერიალური ქონება ხარჯებშია ჩამოწერილი, რაც არ ასახავს ხარჯვის ოპერაციის მოხდენის პერიოდს და წარმოადგენს მხოლოდ ქარხნის საწყობებს შორის აქტივის შიდა მოძრაობის ოპერაციის შედეგს. შესაბამისად, ტექნიკის დაუსრულებელ სარემონტო სამუშაოებზე გამოყენებული სათადარიგო ნაწილები, აღიარებულია ხარჯად.

*ზემოაღნიშნული მაგალითები ეხება მხოლოდ ერთ-ერთ შერჩეულ ქვედანაყოფს და წარმოადგენს საილუსტრაციო მაგალითს, თუმცა აუდიტის მიერ განხორციელებული სხვადასხვა პროცედურების შედეგად, გამოვლინდა ანალოგიური ტიპის ნაკლოვანებები სხვა ქვედანაყოფებშიც. შესაბამისად, წარმოდგენილი ხარვეზები სისტემურ ხასიათს ატარებს, რაც ვერ უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების სწორად მომზადებას და შეიცავს დანაკარგების წარმოშობის რისკებს.*

**დელტას** „მატერიალური მარაგების“ ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 15,128,707 ლარს შეადგენს, რაც არ ასახავს ფაქტობრივ მდგომარეობას, ვინაიდან საწარმოო პროცესების აღრიცხვა არ ხდება წარმოების პროცესის თანმიმდევრულად.<sup>35</sup> მაგალითად:

- 4,165,312 ლარის ნედლეულიდან, მზა პროდუქციის ნაწილი, კერძოდ 60%, 2019 წელს გადაეცა სამინისტროს. აღნიშნული ნედლეულის ჩამოწერა განხორციელდა 2020 წლის მარტში;

<sup>33</sup> კერძოდ, 2007 და 2010 წელს მიღებულია ტექნიკის სათადარიგო ნაწილები კომპლექტებად, რომელიც ამ დრომდე აღრიცხულია კომპლექტის პირველადი ღირებულებით 4,903,644 ლარი, მიუხედავად იმისა, რომ განხორციელებულია მათი განკომპლექტება და კომპლექტში არსებული სათადარიგო ნაწილების 75% გახარჯულია.

<sup>34</sup> მაგალითად 2019 წელს ჯავშან-ტექნიკაზე ჩატარებული სარემონტო სამუშაოების შედეგად დამონტაჟდა 225,714 ლარის ღირებულების ახალი ძრავები, ნაცვლად ჯავშან-ტექნიკის ღირებულების გაზრდისა, განხორციელდა მათი ჩამოწერა მიმდინარე ხარჯებში. გარდა ამისა, არ ხდება ჯავშან ტექნიკაზე გაწეული მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ანალიზი, რათა დადგინდეს ტექნიკაზე გაწეული ხარჯის ეკონომიკურად მიზანშეწონილობა, რომლის კონტროლსაც ითვალისწინებს პრეზიდენტის ბრძანებულება №197. აღნიშნულის მიხედვით, ის ტექნიკა რომლის რემონტის ფასი აღემატება პირველადი ღირებულების 60%-ს, ექვემდებარება ჩამოწერას.

<sup>35</sup> ნედლეულის მუხლის (1621) კლასიფიკაცია იცვლება დაუმთავრებელი წარმოების (1622) მუხლით, მას შემდეგ რაც დასრულდება მთლიანი საწარმოო პროცესი და შეიქმნება მზა პროდუქტი;

- 3,137,445 ლარის ღირებულების მასალა<sup>36</sup> ორგანიზაციის განმარტებით გახარჯულია, თუმცა ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის არქონის გამო, ამ დრომდე აღრიცხულია მარაგებში.
- 4,568,178 ლარის ღირებულების მარაგები წარმოადგენს დელტას წარმოების შესაძლებლობის განსაზღვრის მიზნით შესყიდულ მომსახურებას, რაც ნაცვლად „მარაგებისა“, აღრიცხული უნდა იყოს „არამატერიალურ აქტივებში“.

#### **ნულოვანი ღირებულებით აღრიცხული მარაგები**

ძალოვანი უწყებისთვის დამახასიათებელ ნაკლოვანებას წარმოადგენს სპეციფიკური დანიშნულების აქტივების რაოდენობრივი აღრიცხვა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების რეალურ ღირებულებაზე, შესაბამისად შეუძლებელია განისაზღვროს უზუსტობის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

თავდაცვის სამინისტრო ფლობს სპეციფიკურ აქტივებს, (ნაწილი გადმოცემულია საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, ნაწილი შეძენილია 1990-იან წლებში, მიღებულია სხვადასხვა სახელმწიფოსგან) რომელთა ფასები გარკვეულ შემთხვევებში ობიექტური მიზეზების გამო უცნობია. აღნიშნული ნაკლოვანების გამოსწორება კომპლექსურ მიდგომას და შეფასების პოლიტიკის შემუშავებას საჭიროებს. სამინისტროს განმარტებით, დაწყებულია ღონისძიებების განხორციელება აღნიშნული მიმართულებით შესაფერისი მიდგომებისა და პოლიტიკის ჩამოყალიბებისთვის.

*ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წლის სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი „მატერიალური მარაგების“ საწყისი ნაშთი -1,824,199,453 ლარი და საბოლოო ნაშთი -1,115,336,176 ლარი, არ ასახავს მარაგების რეალურ ოდენობას, რასაც არსებითი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაზე.*

#### **1.4 გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები**

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, „გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების“ ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 3,184,131,935 ლარს, საიდანაც 96% წარმოადგენს სამინისტროს აპარატის აქტივებს.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი უზუსტობები:

##### **შენობა-ნაგებობები და არაწარმოებული აქტივები**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „შენობა-ნაგებობების“ ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენს 485,991,795 ლარს. აღნიშნული მუხლის ღირებულების განსაზღვრა მასშტაბური შეუსაბამობის გამო შეუძლებელია კერძოდ:

<sup>36</sup> სამხედრო მარაგები მიღებულია 2013-2016 წლებში;

- ჯლუსის წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების მნიშვნელოვანი ნაწილი არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს<sup>37</sup>;
- არაფინანსური აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი აღრიცხულია მხოლოდ რაოდენობრივად და ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული. შესაბამისად, სამინისტრო ფლობს გაცილებით მეტი ღირებულების სახელმწიფო ქონებას.
- ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის რეგისტრირებული როგორც სახელმწიფო ქონება;

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ანგარიშგების „არაწარმოებული აქტივების“<sup>38</sup> მუხლი წარდგენილია 843,294,655 ლარით, რაც არ შეესაბამება ფაქტიურ მდგომარეობას. კერძოდ, 206,984,527მ<sup>2</sup> მიწის ფართობიდან,:

- )/ 38,487,225მ<sup>2</sup> მიწა ღირებულების გარეშეა წარმოდგენილი;
- )/ 9,505,950 მ<sup>2</sup> მიწა დაურეგისტრირებელია;
- )/ 4,161,700მ<sup>2</sup> გასხვისებულია;
- )/ 4,700მ<sup>2</sup> მიწის ფართობიდან შეუძლებელია გაიმიჯნოს სამინისტროს საკუთრებაში არსებული და გასხვისებული მიწის ფართობები.

აღნიშნული შეუსაბამოები მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ისტორიული კონტექსტით<sup>39</sup>, 2019-2020 წლებში სამინისტროში აქტიურად მიმდინარეობს უძრავი ქონების აღრიცხვის პროცესი. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 30 მარტის N283 ბრძანების შესაბამისად, მიმდინარეობს მუშაობა ინფრასტრუქტურის მოდულის შემუშავებისთვის, რომლის მიზანია უძრავი ქონების აღრიცხვის, მართვის და კონტროლის პროცესების გამარტივება-გაუმჯობესება. *სამინისტროს განმარტებით, მუდმივ რეჟიმში ხორციელდება ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების აღრიცხვა და მონიტორინგი. მიმდინარეობს მიწების აზომვითი სამუშაოები, რაც გარკვეულ დროსა და რესურსებს მოითხოვს. შესაბამისად, აღნიშნული ნაკლოვანების აღმოფხვრა გრძელვადიანი პროცესია.*

**დელტას** „საცხოვრებელი შენობების“ მუხლში, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაშთად ირიცხება 14,857,471 ლარის ღირებულების ქონება, საიდანაც 2,755,290 ლარის ღირებულების საცხოვრებელი შენობები არ წარმოადგენს დელტას საკუთრებას. კერძოდ, მშენებლობა 2019 წელს სამინისტროს შეკვეთით განახორციელა დელტას შვილობილმა კომპანია „მშენებელი 2011“-მა,<sup>40</sup> აქტივების სამინისტროს ბალანსზე გადაცემა ამ დრომდე არ განხორციელებულა.<sup>41</sup> საცხოვრებელი ფართის დიდი ნაწილი სამინისტროს მიერ უკვე გადაცემულია სამხედრო მოსამსახურეებისთვის. ამასთან, შვიდი შენობა-ნაგებობა აღრიცხულია ღირებულების გარეშე.

<sup>37</sup>ინვენტარიზაციის შედეგად საბინაო ფონდის დაახლოებით 95% პრივატიზებულია (საცხოვრებელი ბინები, რომლებიც წლების მანძილზე საკუთრებაშია გადაცემული სამხედრო მოსამსახურეებისთვის), თუმცა დღემდე ირიცხება ბალანსზე.

<sup>38</sup> ინფორმაცია ასახავს მხოლოდ ჯლუსის აღმოსავლეთ ცენტრის მონაცემებს, შესაბამისად უზუსტობა სავარაუდოდ გაცილებით დიდია.

<sup>39</sup> აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილის ღირებულება არ არის დადგენილი, ვინაიდან, ამიერკავკასიაში რუსეთის ფედერაციის ჯარებსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, ბალანსზე აღრიცხულია მთლიან სამხედრო ქალაქებში არსებული შენობები, ცალკეული შეფასების გარეშე.

<sup>40</sup> მ.წ აქტი N4046 – 4/11/2019 წ.

<sup>41</sup> დასრულებული მშენებლობის შესახებ სამინისტრო ინფორმირებულია - წერილი N2150 – 6/11/2019 წ. საცხოვრებელი ფართის დიდი ნაწილი სამინისტროს მიერ უკვე გადაცემულია სამხედრო მოსამსახურეებისთვის, თუმცა დელტას ბალანსზე ირიცხება აქტივების სახით.

## დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები

სამინისტროს „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ მუხლიდან არ არის განხორციელებული 3,557,898 ლარის დასრულებული აქტივების რეკლასიფიკაცია შესაბამის მუხლებზე, რაც განპირობებულია სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს შორის დოკუმენტაციის მოძიებისა და გაცვლის გართულებული, გახანგრძლივებული პროცესებით.

დელტას ფინანსურ ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „დაუმთავრებელ ძირითად აქტივებში“ ასახულია სხვადასხვა პერიოდში წარმოქმნილი ნაშთი, 13,349,796 ლარის ოდენობით, რაც ექვემდებარება მუხლის კლასიფიკაციის ცვლილებას, ვინაიდან ძირითადად მოიცავს შპს „მშენებელი 2011“-ის მიერ დასრულებულ სამუშაოებს, მაგალითად:

- 1,221,207 ლარის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები კომპანიაში დაასრულა 2014-2015 წლებში, თუმცა ირიცხება დელტას ბალანსზე.
- 2,001,458 ლარის სამშენებლო მასალები 2014 წელს მიღებულია შპს „მშენებელი 2011“-სგან,<sup>42</sup> თუმცა ვერ მოვიპოვეთ აღნიშნული მასალების გახარჯვის შესახებ დოკუმენტაცია და დღემდე ირიცხება დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე.
- 986,054 ლარი - დელტას ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები შესრულებული და ჩაბარებულია 2015-2016 წლებში.<sup>43</sup>
- 1,204,588 ლარის სამუშაოები - სხვადასხვა რეგიონებში სეტყვასაწინააღმდეგო დანადგარების ინფრასტრუქტურული მოწყობა დასრულებულია.<sup>44</sup>
- 1,215,148 ლარის ღირებულების 2 ერთეული მაღალი გამავლობის ავტომობილი ირიცხება „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ მუხლში. ავტომობილები შეძენილია შეკვეთის ფარგლებში და მათი მოდიფიკაციით მზადდება სამაშველო-სახანძრო მანქანები.<sup>45</sup> ვინაიდან აქტივები გამოიყენება წარმოების პროცესში ნედლეულის სახით, მათი აღრიცხვა უნდა ხდებოდეს „მატერიალურ მარაგებად“.<sup>46</sup>

აღსანიშნავია, რომ დელტა არ ატარებს „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ ინვენტარიზაციას, რაც ხელს უშლის შეჩერებული შეკვეთებისა და სამშენებლო სამუშაოების, ასევე ექსპლუატაციაში შესული ძირითად აქტივების დროულ იდენტიფიცირებას.

## სხვადასხვა ძირითადი აქტივები

სამინისტროს არაფინანსური აქტივების მართვის კუთხით გამოვლინდა სისტემური პრობლემები და უზუსტობები, მაგალითად:

- ✓ გრანტის სახით 2017-2019 წლებში გადმოცემული 37,864,000 ამერიკული დოლარის აქტივები ბუღალტრულად არ არის აღრიცხული. აღნიშნული საქონელი მიღებულია, ჯლუსის მიერ ხორციელდება მიღება-გაცემის

<sup>42</sup> ხელშეკრულება N04 -2005.2013წ. მ.წ N0316 – 23.07.2014

<sup>43</sup> ხელშეკრულება N018 – 26/09/2013წ. მ.წ აქტი N0874 – 31/12/2015წ; ხელშეკრულება N07 – 1/02/2016წ. მ/წ აქტი N01106 – 29/11/2016წ.

<sup>44</sup> სსიპ დელტას გენერალური დირექტორის ბრძანებები: N197 – 17/12/2014. N79 – 27/03/2015. N43 – 21/03/2016.

<sup>45</sup> 2017 Ford classic/cab 1FD0W5HTXHEB93486; შპს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შეკვეთა N564-1; 06/08/2018

<sup>46</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N429 (31.12.2014წ) მუხლი 154, პუნქტი ბ.

რაოდენობრივი კონტროლი, თუმცა აქტივების შესახებ ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი არ არის. აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ გრანტის სახით მიღებული საქონელი საწყობებში ხვდება პირველადი დოკუმენტაციის გარეშე, ან უცნობია მიღებული საქონლის ღირებულება.

- ✓ ჯავშან-ტექნიკა ჯალუსში აღრიცხულია მხოლოდ რაოდენობრივად. აუდიტის მიერ მოხდა 37,823,759 ლარის ღირებულების კონკრეტული ჯავშან-ტექნიკის იდენტიფიცირება, რომელიც სამინისტროს მიერ არ არის თანხობრივად აღრიცხული, მიუხედავად იმისა, რომ გადმოცემის დოკუმენტაციაში ფასი მითითებულია.
- ✓ საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, 2019 წლამდე მსხვილი სამხედრო დანიშნულების საქონელი აღირიცხებოდა „საქონელი და მომსახურების“ მუხლში, ნაცვლად „არაფინანსური აქტივების“ მუხლისა და შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი იყო როგორც მოკლევადიანი აქტივები. 2019 წელს საბიუჯეტო კლასიფიკაციაში განხორციელებული ცვლილებებით, აღნიშნული ტიპის საქონელი დაექვემდებარა „არაფინანსური აქტივების“ მუხლით აღრიცხვას. ცვლილებების შესაბამისად, „სამხედრო იარაღის სისტემების“ მუხლში, 2019 წელს აღირიცხა 843,831,832 ლარის მსხვილი სამხედრო დანიშნულების აქტივები. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი უზუსტობები:
  - აღნიშნულ მუხლში აღრიცხულ ქონებას ცვეთა არ ერიცხება, შესაბამისად ანგარიშგებაში გაზრდილი ღირებულებით არის წარმოდგენილი. კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული სამხედრო სისტემების ცვეთის კოეფიციენტები. აღსანიშნავია რომ სამინისტროში მიმდინარეობს სამხედრო სისტემების ცვეთის კოეფიციენტების განსაზღვრა საქართველოს პრეზიდენტის N197 დადგენილების შესაბამისად.
  - მუხლში აღრიცხულია 5,123,422 ლარის ღირებულების ისეთი ოპერაციები,<sup>47</sup> რაც არ აკმაყოფილებს არაფინანსურ აქტივად აღიარების კრიტერიუმს.
  - 28,587,026 ლარის საბალანსო ღირებულების საფრენი აპარატები მოძველებულია და შესაძლოა არ აკმაყოფილებდეს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. აღნიშნული შემდგომ შესწავლას და გადაწყვეტილების მიღებას საჭიროებს.
  - 60,215,379 ლარის საბალანსო ღირებულების აქტივები წარმოადგენს 2007 წელს კონკრეტული ხელშეკრულების ფარგლებში მიღებულ სხვადასხვა დასახელების, კლასიფიკაციის ქონებას. აღნიშნული აქტივების ნაწილი, კერძოდ 2 ერთეული აქტივი, დუბლირებულად იყო აღრიცხული „სატრანსპორტო საშუალებების“ მუხლშიც, რომლის საწყისი ღირებულება შედგენდა 332,982 ლარს. აღსანიშნავია, რომ საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განულებულია.
  - 261,765 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების საინჟინრო ქონება 2019 წელს აღრიცხულია დუბლირებულად, კერძოდ 2

<sup>47</sup> სწავლების, ტექნიკური ინსტრუქციებისა და ტრანსპორტირების თანხები

განსხვავებულ მუხლში<sup>48</sup>. ამასთან, აღნიშნულ ქონებაზე არ არის აღრიცხული ცვეთა.

- ✓ ჯალუსის მონაცემების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ სხვადასხვა ქვედანაყოფში ირიცხება 1,433,485 ლარის ღირებულების კვადროციკლები, რომელიც არ არის აღრიცხული.
- ✓ საჰაერო სარდლობის მიერ აღრიცხულია ჯამში 43,117,869,24 ლარის საფრენი აპარატები<sup>49</sup>, თუმცა ვერ დგინდება მათი შემენის წლები, სავარაუდოდ აღრიცხულია შესყიდვის ღირებულებით და არ ერიცხება ცვეთა.
- ✓ დელტას ბალანსზე ირიცხება 21,375,056 ლარის საბალანსო ღირებულების შვეულმფრენი, რომლის საკუთრების უფლება 2012 წელს გადაეცა სამინისტროს. მიუხედავად ამისა, სამინისტროს მიერ აქტივი აღრიცხული არ არის.
- ✓ სამინისტროს მიერ, 2019 წლის აპრილში აღირიცხა 2,791,772 ლარის ღირებულების სავალე აღჭურვილობა, რომელიც დელტამ სამინისტროს გადასცა 2018 წელს, თუმცა მისი აღრიცხვა განხორციელდა დაგვიანებით და დაერიცხა მხოლოდ 1 წლის ცვეთა.
- ✓ **დელტას** სატრანსპორტო საშუალებების მუხლში, ირიცხება 2011 წელს სამინისტროს შეკვეთით<sup>50</sup> დამზადებული 29 მოდიფიცირებული სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ამ დრომდე არ არის შემკვეთზე გადაცემული, შესაბამისად არ არის ექსპლუატაციაში. მიუხედავად იმისა, რომ დელტამ უზრუნველყო გადმოცემული მანქანების ძირეული შეცვლა, მოდიფიცირება, სატრანსპორტო საშუალებების საბალანსო ღირებულება არ შეცვლილა, ამასთან მანქანებს ერიცხება ცვეთა. ვერ მოვიპოვეთ აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებებზე საწარმოო დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რათა გაგვესაზღვრა მათი რეალური ღირებულება. გარდა აღნიშნულისა, მანქანები გამოიყენება როგორც ნედლეული, შესაბამისად აღრიცხული უნდა იყოს „მატერიალური მარაგების“ შესაბამის ანგარიშზე და არ უნდა ერიცხებოდეს ცვეთა. *დელტას განმარტებით, 2020 წელს სატრანსპორტო საშუალებების შესაბამისი აღრიცხვის მიზნით, განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები. მათ შორის 18 ერთეული სატრანსპორტო საშუალება უკვე გადაეცა სამინისტროს.*
- ✓ **დელტას** მიერ ბალანსზე არ არის აღრიცხული ორი ერთეული მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალება<sup>51</sup>.
- ✓ **დელტას** ბალანსზე, „სხვა მანქანა დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლში ნაშთად ირიცხება 13,258,989 ლარი. ამასთან, ინვენტარის საერთო რაოდენობის 40%, აღრიცხულია ღირებულების გარეშე. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, გარკვეულ დანადგარებზე გაწეულია მომსახურების ხარჯები, რაც ასახულია ბალანსის აქტივების ცალკეულ პოზიციებზე, თუმცა ვერ მოვიპოვეთ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- ✓ **დელტას** განმარტებით, მათ ბალანსზე ირიცხება დაზიანებული, მორალურად მოძველებული და ფიზიკურად ამორტიზებული

<sup>48</sup> სამხედრო იარაღის სისტემები და სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი სატრანსპორტო საშუალებების გარდა

<sup>49</sup> მუხლი 2122 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი სატრანსპორტო საშუალებების გარდა

<sup>50</sup> თავდაცვის მინისტრის ბრძანება N050 – 18.02.2011

<sup>51</sup> Hummer

სხვადასხვა მატერიალური ქონება, რომელიც საჭიროებს შეფასებას და კანონმდებლობით გათვალისწინებულ რეაგირებას. აუდიტის მიმდინარეობისას საკითხის შესწავლისა და რეაგირების მიზნით შეიქმნა კომისია.

- ✓ დელტას მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა, რომ 2019 წელს მიღებულია ქარის გენერატორის კომპლექტი, რაც ბალანსზე არ არის აღრიცხული.

### წულოვანი ღირებულებით აღრიცხული გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები

გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი მხოლოდ რაოდენობრივად არის აღრიცხული, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების რეალურ ღირებულებაზე, შესაბამისად, შეუძლებელია განისაზღვროს უზუსტობის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში მატერიალური მარაგების, ძირითადი აქტივების მუხლები შეიცავს 2008 წლის ომის შედეგად განადგურებულ/დაკარგულ აქტივებს. ქვედანაყოფებისგან წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, დაკარგული აქტივების უმეტესი ნაწილის ღირებულების დადგენა შეუძლებელია, ვინაიდან აღრიცხულია რაოდენობრივად. სამინისტროს 2018 წლის აუდიტის შედეგად<sup>52</sup> შესაძლებლობის ფარგლებში მოხდა დანაკლისად აღიარებული მატერიალური ფასეულობებისა და ძირითადი აქტივების თანხობრივი იდენტიფიცირება, რამაც 60,904,800 ლარი შეადგინა.

სამინისტროს განმარტებით, დანაკლისების შესახებ ინფორმაცია გადაგზავნილია სამხედრო პოლიციაში, თუმცა გამოძიების შედეგები ამ ეტაპზე ცნობილი არ არის და შესაბამისად არ განხორციელებულა აღნიშნული აქტივების ჩამოწერა. ობიექტის განმარტებით, აღნიშნული ნაკლოვანება სრულად აღმოიფხვრება 2021 წელს და აქტივები აღირიცხება შესაბამის ბალანსგარეშე ანგარიშზე.

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ რწმუნება კონსოლიდირებულ ფორმა N1-ში „ძირითადი აქტივების“ მუხლში საწყისი 2,330,053,769 ლარის და საბოლოო - 3,317,211,816 ლარის ღირებულების ნაშთების არსებობასთან, სისწორესა და სიზუსტესთან დაკავშირებით.**

## 1.5 შემოსავლები

ფიზიკური დათვალიერების შედეგად, აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირდა სამინისტროს ტერიტორიზე განთავსებული დაახლოებით 22 სავაჭრო აპარატი,<sup>53</sup> რომლებზეც არ არის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება, შესაბამისად სამინისტრო აღნიშნული წყაროდან შემოსავლებს არ იღებს.

<sup>52</sup> 2018 წლის ფინანსური აუდიტის შედეგები - <https://sao.ge/Uploads/2019/11/tavdacva-finansuri.pdf>

<sup>53</sup> ყავის, კვების სხვადასხვა პროდუქტების აპარატები

*სამინისტროს განმარტებით, აპარატები განთავსდა თანამშრომელთა თხოვნის საფუძველზე და საცდელ რეჟიმში მუშაობდა. ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად მიმდინარეობს შესაბამისი აქტივობების განხორციელება.*

**დელტა** ფულად შემოსავლებს იღებს ჯართის რეალიზაციდან, რომელიც მიიღება ვადაგასული (საუტილიზაციო) სამხედრო ტექნიკის, შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების შედეგად. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის ნაკლოვანებები:

- ✓ გადმოცემული მატერიალური ფასეულობები მიიღება რაოდენობრივად, ან წონით და არ ხდება მათი აღრიცხვა შემდგომი რეალიზაციის მიზნით მიღებულ საქონლად.
- ✓ ჯართის მიღების დროს გარკვეულ შემთხვევებში არ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტები.
- ✓ უტილიზებული ჯართი არ აღირიცხება.
- ✓ არ არის ჩამოყალიბებული ჯართის მიღებისა და შემდგომი რეალიზაციის სპეციფიკური პროცედურები.

*სამინისტროს განმარტებით, დელტას შიდა აუდიტის დეპარტამენტმა აღნიშნული მიმართულებით გამოავლინა დარღვევები, რომელიც შეიცავდა შესაძლო დანაშაულის ნიშნებს და შემდგომი რეაგირებისთვის გადაიგზავნა სამართალდამცავ ორგანოებში.*

რაც შეეხება ჯართის რეალიზაციის კონტროლის მექანიზმების დანერგვის პროცესს, დელტას განმარტებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებები.

*ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, სამინისტრო საანგარიშო პერიოდში ვერ იღებდა შემოსავლებს მის ტერიტორიაზე განთავსებული გარკვეული ობიექტებიდან. ვერ დავრწმუნდით დელტას მიერ ჯართის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების სისრულესა და სიზუსტეში. აღნიშნული თავის მხრივ წარმოშობს ქონების დანაკარგების და არამიზნობრივი გამოყენების რისკებს.*

## 2. სხვა გარემოებები

ყურადღებას ვამახვილებთ იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წინა პერიოდების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ ჩატარებულა და შესაბამისად, შესადარისი ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდირებული.

ბოლო 3 წლის განმავლობაში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ფინანსური აუდიტები ჩატარებულია მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს აპარატში და გაცემულია უარყოფითი მოსაზრება (სამოქალაქო ოფისი, თავდაცვის ძალები).

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტით განსაზღვრული პროცედურები, მატერიალური არსებითობის გათვალისწინებით, განხორციელდა სამინისტროს აპარატსა და სსიპ - დელტაში. სსიპ - გ. აბრამიშვილის სახელობის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის ანგარიშგება და მასთან დაკავშირებული პროცესები შესწავლილ იქნა ანალიტიკური პროცედურებით.

### 2.1 დელტას საწარმოო

#### პროცესების და

#### კონტროლის

#### ნაკლოვანებები

დელტა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ორგანიზაციას წარმოადგენს. დებულების მიხედვით,<sup>54</sup> სხვადასხვა მნიშვნელოვან დანიშნულებასთან ერთად, მისი ერთ-ერთი ფუნქციაა მრეწველობაში სამხედრო დანიშნულების ნაკეთობების სერიული ათვისების, წარმოების ორგანიზება. გარდა აღნიშნულისა, სამხედრო თავდაცვითი დანიშნულების შეკვეთების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაციამ უნდა მოახდინოს საცდელ-საკონსტრუქტორო და საწარმოო-ტექნოლოგიური ბაზის შესაძლებლობების შესწავლა.

მიუხედავად აღნიშნულისა, ორგანიზაციას არ აქვს შემუშავებული განვითარების პოლიტიკა, რომლითაც დეტალურად უნდა განისაზღვროს ორგანიზაციის საქმიანობა და საწარმოო მიმართულებები, სიმძლავრეები და წარმადობა, რაც აფერხებს პროცესების ეფექტიანობას.<sup>55</sup>

დელტას 2017-2019 წლების ფინანსური მონაცემების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში.

**ცხრილი N4:** ინფორმაცია დელტას ბიუჯეტისა და შემოსავლების შესახებ 2017-2019 წლები (ლარი)

| წელი | დაუსრულებელი ბიუჯეტი | შემოსავლები             |
|------|----------------------|-------------------------|
| 2017 | 33,911,702           | 1,581,682               |
| 2018 | 44,709,982           | 3,246,853 <sup>56</sup> |
| 2019 | 50,178,003           | 944,515                 |

2019 წლის მდგომარეობით, დელტას მიერ მიღებული პროექტების დაახლოებით 70% დაუსრულებელია,<sup>57</sup> მათი ნაწილი დელტას შესაძლებლობების ზრდას, ხოლო ნაწილი სხვადასხვა დამკვეთის მოთხოვნას უკავშირდება. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, გარკვეული პროექტების დასრულება ვერ განხორციელდა სხვადასხვა საწარმოო ხარვეზის, ნედლეულთან დაკავშირებული პრობლემებისა და საჭიროებების ცვლილებიდან გამომდინარე.

<sup>54</sup> საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №139

<sup>55</sup> აღსანიშნავია რომ ორგანიზაცია 2005 წლიდან საქმიანობს.

<sup>56</sup> აღნიშნული შემოსავლებიდან 1,748,299 ლარი მიღებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან 2 ერთეული სახანძრო მანქანის მოდიფიკაციის პროექტის ფარგლებში.

<sup>57</sup> 2013-2018 წლებში სულ მიღებულია 795 შეკვეთა, საიდანაც 534 დაუსრულებელი შეკვეთაა.

გარდა აღნიშნულისა, 2017-2019 წლების განმავლობაში, დელტა სამინისტროსთვის უზრუნველყოფს ჯავშან-ჟილეტების, ჩაფხუტების, მედლების დამზადებას, რომლისთვისაც ნედლეულის შეძენის მიზნით გამოყოფილი ბიუჯეტი, დაახლოებით 3 მლნ ლარია.<sup>58</sup> ამ შემთხვევაშიც, ვერ მოხერხდა შეკვეთების დროული დასრულება და სამინისტროს საქონელი დაგვიანებით მიეწოდა. მაგალითად, 2017 წლის შეკვეთა მიწოდებულია 2018-2019 წლებში, ხოლო 2018 წლის - 2019-2020 წლებში.

ნაკლოვანებები გამოიკვეთა შემდეგი მიმართულებით:

- ორგანიზაციაში არ არის შემუშავებული წარმოების პროცესების სტრატეგია, რომლის მიხედვითაც უნდა შეფასდეს შეკვეთების პრიორიტეტულობა და განისაზღვროს შესრულების ვადები.
- არ ხდება დანახარჯების შესაბამისი აღრიცხვა.<sup>59</sup> განხორციელებულ პროექტებში არ ხდება შექმნილი პროდუქციის თვითღირებულების სწორი კალკულაცია,<sup>60</sup> ვინაიდან არ არის ჩამოყალიბებული კალკულაციის პრინციპები. თვითღირებულებაში შემავალი დანახარჯების ელემენტები და მათი მოცულობა განსხვავებულია დამკვეთის მიხედვით, რაც დაუსაბუთებელია.<sup>61</sup>

**დელტას ახალი ხელმძღვანელობის განმარტებით, ნაკლოვანებების და გამოწვევების საპასუხოდ დაგეგმილია მოცულობითი სამუშაოების განხორციელება.**

## 2.2 ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის ანაზღაურების ნაკლოვანებები

2019 წელს დელტას მიერ „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეულია 18,457,300 ლარის საკასო ხარჯი.

ხელფასის დარიცხვა ხდება 2 ფაქტორის გათვალისწინებით, ნორმირებული ანუ ფიქსირებული განაკვეთის მიხედვით და საათობრივი ანაზღაურებით (პროექტების მიხედვით).

შრომის ანაზღაურების პროცესში გამოვლინდა კონტროლის გარემოს მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები:

- ✓ ნორმირებულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლების დასწრება/გამოცხადების გათვალისწინება ხელფასების დაანგარიშების დროს არ ხდება.
- ✓ ხელფასების გამოთვლისას საანგარიშო პერიოდში არ ხდება გაცდენილი საათების (საპატიო, არასაპატიო) და საავადმყოფო ფურცლის გათვალისწინება.

<sup>58</sup> აღნიშნული თანხა გამოყოფილია სამინისტროს ბიუჯეტის ფარგლებში.

<sup>59</sup> არ ხორციელდება ფაქტობრივი ხარჯებისა და დაგეგმილი ხარჯების აღრიცხვა, ანალიზი, რათა მოხდეს გადახარჯვის შესწავლა. ფაქტობრივი თვითღირებულების დათვლა ხორციელდება ფინანსებისა და დაგეგმარების დეპარტამენტის მიერ, რომელსაც მთლიანი შეკვეთის დასრულებისას საწარმოები უზღავნავენ გამოყენებული მასალების ჩამოწერის აქტებს და მათი ღირებულების მიხედვით დგება საბოლოო კალკულაცია. რაც შეეხება თვითღირებულების სხვა ელემენტებს: პირდაპირი შრომის ანაზღაურება, საწარმოო ზედნადები ხარჯები, ენერგო-დანახარჯები, ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი - აღნიშნული ხარჯების თვითღირებულებაში გათვალისწინება არ ხორციელდება.

<sup>60</sup> თვითღირებულების კალკულაციის ამოცანაა დაადგინოს რამდენია პროდუქციის ერთეულზე გაწეული ცალკეული სახის ხარჯები: პირდაპირი მასალა, პირდაპირი შრომის დანახარჯები და არაპირდაპირი ხარჯები.

<sup>61</sup> სხვა დამკვეთებისგან განსხვავებით, თუ პროდუქცია მზადდება თავდაცვის სამინისტროსთვის, თვითღირებულებაში შემავალი ხარჯები მოიცავს მხოლოდ მასალის ხარჯს, ენერგო-დანახარჯებს, წარმოების, ინფრასტრუქტურის შენარჩუნების ხარჯს და დღგ-ს, მაშინ როცა ძირითად ხარჯებს მიეკუთვნება ასევე პირდაპირი მასალისა და შრომის ხარჯი.

2019 წლის განმავლობაში, ნორმირებულ განაკვეთზე მყოფი თანამშრომლებიდან, გარკვეული ნაწილი არასაპატიო მიზეზით ხშირად არ ცხადდებოდა სამსახურში, თუმცა ხელფასის დაანგარიშებისას გაცდენები გათვალისწინებული არ იყო.

2020 წელს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ მოკვლეულ იქნა არასაპატიო მიზეზით ხშირი გაცდენის ფაქტები, შედეგად სამსახურიდან გათავისუფლდა 42 თანამშრომელი, ასევე დელტას განმარტებით, 58 თანამშრომელს დაეკისრა სხვადასხვა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობა, საკუთარი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებისთვის.

საყურადღებოა 2019 წლის განმავლობაში დელტას ნორმირებულ განაკვეთზე მყოფი თანამშრომლების დაწინაურების მაღალ თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანის პრაქტიკაც, რაც თითქმის ყველა თანამშრომელზე ვრცელდება. ხელფასის გაზრდის თუ დაწინაურების მიზნით, თანამშრომელს, ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებით, მისაღები თანამდებობრივი სარგოს კატეგორია ენიჭება გარკვეული ვადით - მხოლოდ ერთი ან ორი თვის ვადით. თუ მომდევნო თვეში კვლავ შეთანხმებით არ მოხდა შრომით ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ახალი ბრძანების გამოცემა, თანამშრომელი უბრუნდება ძველი თანამდებობრივი სარგოს კატეგორიას. თანამდებობრივი სარგოს IV კატეგორიის თანამშრომელს შესაძლებელია პირდაპირ მიენიჭოს თანამდებობრივი სარგოს I კატეგორია (სარგოებს შორის განსხვავება 1,800 ლარი), დასაბუთების, საქმიანობის შედეგების შეფასების და სხვა საფუძვლის გარეშე.

ცალკეული პირები ანაზღაურებას იღებენ როგორც დელტაში, ასევე მის მიერ დაფუძნებულ ან მართვის უფლებით გადმოცემულ ორგანიზაციებში. გამომდინარე აქედან, შესაძლებელია სამუშაო საათების განმავლობაში, დელტას თანამშრომელმა ერთდროულად იმუშაოს რამდენიმე სრულ განაკვეთზე ისე, რომ ვერ მოხდეს სამუშაო საათების და შესრულებული სამუშაოების გამიჯვნა.

**ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შრომის ანაზღაურების პროცესი არ არის საკმარისად გამჭვირვალე.**

**ორგანიზაციის განმარტებით, ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.**

## 2.3 დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დელტას ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია დელტას შვილობილი კომპანიებისა და მასთან დაკავშირებულ მხარეებთან<sup>62</sup> არსებულ ოპერაციებზე, რაც მნიშვნელოვანი საკითხია ორგანიზაციის საქმიანობისა და საანგარიშგებო მიზნებისთვის.

დელტასა და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს შორის, ადგილი აქვს მნიშვნელოვანი რაოდენობის და ღირებულების ოპერაციებს (მომსახურების

<sup>62</sup> დელტას მიერ დაფუძნებული ან მართვის უფლებით გადმოცემული კომპანიების: სს „თამ/თბილავიამშენი“, შპს „თბილავიამშენი“, შპს „დელტა ინტერნეიშნალი“, შპს „სამშენებლო კომპანია - მშენებელი 2011“.

მიღება, ნედლეულის/საქონლის ყიდვა/გაყიდვა, გადაცემა და სხვა). მიუხედავად აღნიშნულისა, ორგანიზაციებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები და მათი სამართლებრივი შედეგები, განსხვავდება დელტას მიერ სხვა არადაკავშირებულ ორგანიზაციებთან არსებული სამართლებრივი ურთიერთობისგან. არსებული ხელშეკრულებები ხშირად არ შეესაბამება დაკავშირებული კომპანიების ეკონომიკური საქმიანობის მიზნებს, რაც ხელს უშლის საწარმოო პროცესებს, ვინაიდან გარკვეულ შემთხვევებში, დაკავშირებული კომპანიების მიერ დაგვიანებით, ან უხარისხოდ ხდება ვალდებულების შესრულება, შესაბამისად სამინისტროს შეკვეთები მნიშვნელოვანი დაგვიანებით მიეწოდება.

*საილუსტრაციოდ წარმოდგენილია შესაბამისი მაგალითები:*

- ✓ კონკრეტული ხელშეკრულებების ფარგლებში<sup>63</sup>, დელტამ „თამ/თბილიავიამშენისგან“ საქონელი მიიღო 2020 წლის იანვარში და თებერვალში, თუმცა მიღება-ჩაბარების აქტები გაფორმდა და საქონლის მიღების ოპერაცია აღირიცხა რამდენიმე თვის დაგვიანებით. აღნიშნული გამოწვეული იყო მოწოდებული მასალების დეფექტით და მომწოდებლის მხრიდან დოკუმენტაციის დაგვიანებული წარდგენით, რასთან დაკავშირებითაც განხორციელდა ხელშეკრულებების ვადების ცვლილება. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, კომპანიის მიმართ სანქციები არ იქნა გამოყენებული.<sup>64</sup>
- ✓ კომპანია „მშენებელი 2011-მა“ 2017 წლის ბრძანების<sup>65</sup> ფარგლებში, დელტას მიაწოდა ისეთი აქტივების შექმნისთვის აუცილებელი ნედლეული, რაც არ უკავშირდებოდა „მშენებელი 2011-ის“ ეკონომიკურ საქმიანობას. კომპანიის მიერ დელტასთვის მასალის მოწოდება მოხდა წარმოების (შეკვეთის) დასრულების შემდგომ, 2019 წელს. აღნიშნულის ძირითად გამომწვევ მიზეზს დელტას განმარტებით წარმოადგენდა საბაჟო პროცედურების გაჭიანურება. ამ შემთხვევაშიც, კომპანიის მიმართ არ იქნა გამოყენებული სანქციები. დაგვიანებით მოწოდებული მასალა გამოყენებული იქნა სხვა შეკვეთაზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, აუდიტის შედეგად გამოვლინდა ისეთი გარემოებები, რომლებიც უკავშირდება დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ძველი პერიოდის ოპერაციებს და შეიცავს არამიზნობრივი ხარჯვის მნიშვნელოვან რისკებს.

- ✓ 2019 წლის მონაცემებით, დაკავშირებულ მხარეებზე ირიცხება ისეთი დებიტორული დავალიანებები, რომლებზეც წლებია ოპერაციები არ განხორციელებულა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის<sup>66</sup> მიხედვით, 2011 წელს გარკვეული ტექნიკის შემოტანისა და წარმოების შესაძლებლობის შესწავლისთვის, უნდა განხორციელებულიყო მნიშვნელოვანი პროექტი. კერძოდ, დელტამ და ერთ-ერთმა პარტნიორმა არარეზიდენტმა კომპანიამ, დააფუძნეს ერთობლივი საწარმო<sup>67</sup>. სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, საწარმოს უნდა მიეღო გარკვეული სახის ტექნიკის შეუზღუდავი წარმოების ნებართვა.

<sup>63</sup> მაგ. ხელშეკრულება N063 საიდუმლო 05/12/2019; ხელშეკრულება N069 საიდუმლო 11/12/2019

<sup>64</sup> მასალების დაგვიანებით მიღება ხელს უშლის საწარმოო პროცესებს. აუდიტის მიმდინარეობისას მასალები მიიღეს ეტაპობრივად, ხოლო წუნდებული მასალები ჩანაცვლდა.

<sup>65</sup> დელტას გენერალური დირექტორის ბრძანება N0101 საიდუმლო 22/12/2017

<sup>66</sup> ხელშეკრულება საიდუმლო 23/02/2011

<sup>67</sup> საერთო საწარმოში სსიპ „დელტას“ და კონტრაქტორი კომპანიის წილი 50- 50%-ით განისაზღვრა.

2,000,000 ევროს<sup>68</sup> ღირებულების ხელშეკრულების ფარგლებში, საწარმომ, არარეზიდენტი კომპანიისგან შემდგომი მოდიფიკაციისთვის შეისყიდა 20 ერთეული ტექნიკა. თუმცა, არსებული განმარტებებით, მხარეები ვერ შეთანხმდნენ ტექნიკურ მახასიათებლებზე და აღნიშნული პროექტი შეჩერებულია, ხოლო საწარმოს მიერ შეძენილი ტექნიკა დღემდე ინახება დელტას საწყობში. ამავე პროექტის ფარგლებში, დელტას მიერ 4,568,178 ლარი გადარიცხულია პარტნიორი არარეზიდენტი კომპანიისთვის, ერთობლივი საწარმოს შექმნისა და ტექნიკის წარმოების შესაძლებლობის შესწავლისთვის. აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოგვიდგინა დოკუმენტაცია, ჩატარებული კვლევა ან სხვა ინფორმაცია, რომლითაც დასტურდება შესაძლებლობების შესწავლის მიზნით განხორციელებული აქტივობები.

*აღნიშნულ პროექტში სულ დახარჯულია 8,346,963 ლარი, რაც სავარაუდოდ წარმოადგენს არამიზნობრივ ხარჯს, ვინაიდან პროექტის მიზნები მიღწეული არ არის და გაურკვეველია აქტივებისა და მიღებული მომსახურების დანიშნულება. აღნიშნული საკითხი აუდიტის სამსახურის მიერ 2014 წელს გაგზავნილია სამართალდამცავ უწყებაში.*

- ✓ სამინისტროს ბალანსზე 2012 წლიდან ირიცხება 1,765,000 ლარის დებიტორული დავალიანება, რომელზეც წლებია ოპერაციები არ განხორციელებულა. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სამინისტროსა და შპს „თბილავიამშენს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე<sup>69</sup>, 2012 წლის 4 სექტემბერს, სამინისტრომ კომპანიისგან მიიღო კონკრეტული სახის პროდუქციის შესაქმნელი ნედლეული, რომლის შესახებ სამინისტროსთვის ცნობილი გახდა 2019 წელს<sup>70</sup>. კერძოდ:

- 2012 წელს გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა სამხედრო დანიშნულების სავსე აღჭურვილობის (მზა პროდუქციის) მიწოდებას, თუმცა კომპანიამ სამინისტროს მიაწოდა მხოლოდ ნედლეული.
- აღნიშნული ნედლეული (2020 წლის ოქტომბრის მდგომარეობით) არ არის აღრიცხული მარაგებში და ორგანიზაციას ერიცხება დებიტორული დავალიანება.
- 2014 და 2017 წლებში, საწყობიდან მოხდა ზემოაღნიშნული ნედლეულის ნაწილის გატანა დელტას და შპს „თბილავიამშენის“ (მიმწოდებელი კომპანიის) მიერ, თუმცა საქონლის გატანის მიზნობრიობა უცნობია;
- ზემოაღნიშნულ ნედლეულს გააჩნია შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, რაზეც დამოკიდებულია მისგან დამზადებული მზა პროდუქციის საექსპლუატაციო პერიოდი. აღნიშნულ ნედლეულს დარჩენილი აქვს მხოლოდ 2 წლის სასარგებლო მომსახურების ვადა, შესაბამისად მისი შემდგომი გამოყენების ალბათობა დაბალია.

<sup>68</sup> 2012 წელს სამინისტროს მიერ გადახდილია 1,757,785 ლარი ავანსის სახით.

<sup>69</sup> ხელშეკრულება #12/234-საიდუმლო

<sup>70</sup> წერილი #33-ს

## 2.4 სააღრიცხვო პოლიტიკა

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, **სამინისტროს** ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სხვადასხვა პროგრამისა და ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებულ ოპერაციებსა და ტრანზაქციებს, რომელსაც სამინისტრო ახორციელებს 27 სტრუქტურული ქვედანაყოფის მეშვეობით. აქედან, მხოლოდ სამი ქვედანაყოფი იყენებს სპეციალიზებულ საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამას - ორისს. შესაბამისად, სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა ვერ უზრუნველყოფს მთავარი ამოცანების შესრულებას.

სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. სამინისტროში არ არის შემუშავებული და დანერგილი ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა<sup>71</sup>.

2017 წელს, ფინანსების მართვის დეპარტამენტის ინიცირებით, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ შეიქმნა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის პროგრამა, რომელიც საწყის ეტაპზე ითვალისწინებს მხოლოდ ავეჯისა და ტექნიკის აღრიცხვას. 2019 წლის ბოლოსთვის სამინისტროში ჯერ კიდევ არ იყო დანერგილი აღნიშნული პროგრამა.

სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება კომპლექსური პროცესია, *სამინისტროს განმარტებით, აღნიშნული მიმართულებით აქტივობების განხორციელება დაწყებულია.*

## 2.5 შიდა კონტროლის სხვა ნაკლოვანებები

**სამინისტრო** არ აწარმოებს ბალანსის საცნობარო მუხლში ამორტიზებული ძირითადი აქტივების აღრიცხვას, რომელიც საწყისი (ისტორიული) ღირებულებით ექვემდებარება აღნიშნული მუხლის ანგარიშზე ასახვას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საცნობარო მუხლის „გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანების“ ანგარიშზე არ არის ასახული გადახდისუუნარო დებიტორების დავალიანებები (შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე), რომელთა მიმართაც მათი ჩამოწერის მომენტიდან ხუთი წლის განმავლობაში სამინისტრო განახორციელებდა მათზე მეთვალყურეობას, დავალიანებების შესაძლო ამოღების მიზნით.

ბალანსის საცნობარო მუხლის „პირობითი მოთხოვნების“ ანგარიშზე არ არის აღრიცხული 2015-2019 წელს განხილვის სტადიაში მყოფ სასამართლო საქმესთან დაკავშირებული მოთხოვნები .

ბალანსის საცნობარო მუხლის „პირობითი ვალდებულებების“ ანგარიშზე არ არის აღრიცხული 2015-2019 წელს განხილვის სტადიაში მყოფ სასამართლო საქმესთან დაკავშირებული ვალდებულებები .

**დელტას** არ აქვს ლოჯისტიკური აღრიცხვის შესაბამისი პროგრამა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა სასაქონლო მატერიალური ფასეულობების სრულყოფილ აღრიცხვას, მოძრაობასა და კონტროლს. ცენტრალურ საწყობში მიღებული მასალები აღირიცხება Excel-ის ფაილებში. აღრიცხვის პროცესი სრულად მანუალურია, როგორც ცენტრალურ საწყობში, ასევე საწარმოს სხვა საწყობებში.

აღსანიშნავია, რომ კერძო შეკვეთების შემთხვევაში ძირითადად დამკვეთი უზრუნველყოფს წარმოებისთვის საჭირო მასალების მოწოდებას, რომელთანაც

<sup>71</sup> მუხლი 4, პუნქტი 7, ა) ქვეპუნქტი

ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები. ასეთი მასალების აღრიცხვა ლოჯისტიკის დეპარტამენტის მიერ მხოლოდ რაოდენობრივად ხდება.

აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით, ორგანიზაციამ უნდა დანერგოს ეკონომიკური მოვლენების ამსახველი დოკუმენტების წარმოების ისეთი მექანიზმები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების მართვის და კონტროლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.<sup>72</sup>

ორგანიზაციაში მასალების მიღების პროცესს ახორციელებს ცენტრალური საწყობი, რომელშიც განთავსებულია პირველადი დროებითი დაყოვნების საწყობი. როდესაც მასალები ფიზიკურად შედის საწყობში, ხშირ შემთხვევაში მიღება-ჩაბარებები არ ფორმდება იმავე დღეს.

მასალები, საწარმოებს გადაეცემა შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე და ფორმდება მიღება-ჩაბარების დოკუმენტაცია. წარმოებიდან დარჩენილი ნედლეული ბრუნდება ცენტრალურ საწყობში, თუმცა არ ხდება წარმოების შემდგომ დარჩენილი მასალების რაოდენობის კონტროლი.

დელტას საწარმოების საცავებში ინახება არა მარტო მისი მატერიალური მარაგები, არამედ დაკავშირებული მხარეების აქტივები, რომლის იდენტიფიცირება და გამიჯვნა პრაქტიკულად შეუძლებელია.

ორგანიზაციაში სუსტი კონტროლის მექანიზმების პირობებში, არსებობს მარაგების დანაკარგის რისკი, რაც აუდიტის მიმდინარეობისას თავად ორგანიზაციამ გამოავლინა.<sup>73</sup>

**ზემოაღნიშნული გარემოებები დაკავშირებულია ისეთ რისკებთან, როგორიცაა მასალების დანაკარგები, არამიზნობრივი ხარჯვა და სხვა.**

**აუდიტის მიმდინარეობისას, ხელმძღვანელობისა და შიდა აუდიტის სამსახურის მიერ დაიწყო ორგანიზაციაში კონტროლის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა, ამასთან შესაძლო დანაშაულის ნიშნების შემცველი საკითხები შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ იგზავნება სამართალდამცავ უწყებებში.**

<sup>72</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N429 (31.12.2014წ) მუხლი 4.

<sup>73</sup> შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათი № MEM/-2020-06-19-4782. 19.06.2020

### 3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

#### ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

**კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი – უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გააძლავნოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

#### აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ **კონსოლიდირებულ** ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან

თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;

- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;

- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;

- დავასკვნით ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით – არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე **კონსოლიდირებულ** ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;

- ვაფასებთ **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება **კონსოლიდირებულ** ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;

- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი

მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორების ხელმოწერა

ხელმოწერა

ნინო ყიფიანი

მთავარი აუდიტორი



გურამ ყავლაშვილი

წამყვანი აუდიტორი



თამარ ბარბაქაძე

აუდიტორი



ზოია შიშინაშვილი

აუდიტორი



ნათია ტეფნაძე

აუდიტორ-ასისტენტი



ქეთევან ჩახვაძე

აუდიტორ-ასისტენტი



## ფინანსური ანგარიშგების ფორმები

ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი)

| N   | დასახელება                                                          | ანგარიში  | 31.12.2019           | 31.12.2018           |
|-----|---------------------------------------------------------------------|-----------|----------------------|----------------------|
| 010 | <b>აქტივები</b>                                                     |           |                      |                      |
| 020 | მოკლევადიანი აქტივები                                               |           |                      |                      |
| 030 | ფულადი სახსრები                                                     | 1100-1200 | 4 401 701            | 4 335 366            |
| 040 | სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები                                | 1300      | 19 203 112           | 16 264 435           |
| 050 | სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები                                        | 1400      | 402 688 444          | 521 669 317          |
| 060 | მოკლევადიანი არაფინანსური აქტივები - მატერიალური მარაგები           | 1600      | 1 115 336 176        | 1 824 199 453        |
| 070 | <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>                                    |           | <b>1 541 629 433</b> | <b>2 366 468 571</b> |
| 080 | <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                                        |           |                      |                      |
| 090 | გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები                       | 1500      | 11 651 239           | 26 594 879           |
| 100 | გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები                                  | 2200      | 24 160 172           | 30 096 664           |
| 110 | ძირითადი აქტივები                                                   | 2100      | 2 113 555 743        | 1 158 479 573        |
| 120 | ფასეულობები                                                         | 2300      | 36 437               | 36 437               |
| 130 | არაწარმოებული აქტივები                                              | 2400      | 1 179 459 464        | 1 141 441 095        |
| 140 | საინვესტიციო ქონება                                                 | 2500      | 0                    | 0                    |
| 150 | <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>                                    |           | <b>3 328 863 055</b> | <b>2 356 648 648</b> |
| 160 | <b>ბალანსი</b>                                                      |           | <b>4 870 492 488</b> | <b>4 723 117 219</b> |
| 170 | <b>ვალდებულებები</b>                                                |           |                      |                      |
| 180 | <b>მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები</b> |           |                      |                      |
| 190 | მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები                                | 3100      | 2 714                | 4                    |
| 200 | სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები                         | 3200      | 60 257 718           | 68 431 546           |
| 210 | სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები         |           | 60 260 432           | 68 431 550           |
| 220 | გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები   | 3300      | 0                    | 0                    |
| 230 | <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>                               |           | <b>0</b>             | <b>0</b>             |
| 240 | <b>სულ ვალდებულებები</b>                                            |           | <b>60 260 432</b>    | <b>68 431 550</b>    |
| 250 | <b>კაპიტალი</b>                                                     |           |                      |                      |
| 260 | აქტივების წმინდა ღირებულება                                         | 5100      | 4 747 427 769        | 4 591 519 084        |
| 270 | გაუნაწილებელი მოგება                                                | 5220      | 62 804 287           | 63 166 585           |
| 280 | დაუფარავი ზარალი                                                    | 5230      | 0                    | 0                    |
| 290 | <b>სულ კაპიტალი</b>                                                 |           | <b>4 810 232 056</b> | <b>4 654 685 669</b> |
| 300 | <b>ბალანსი</b>                                                      |           | <b>4 870 492 488</b> | <b>4 723 117 219</b> |

**ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება**

| N   | დასახელება                                                                                                           | 2019 წლის 31 დეკემბერი |                       |                    | 2018 წლის 31 დეკემბერი |
|-----|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------|-----------------------|--------------------|------------------------|
|     |                                                                                                                      | საბიუჯეტო სახსრები     | არასაბიუჯეტო სახსრები | სულ                |                        |
| 010 | ბიუჯეტიდან დაფინანსება                                                                                               | 822 882 716            |                       | 822 882 716        | 814 737 701            |
| 020 | შემოსავლები                                                                                                          | 10 610 411             | 13 122 686            | 23 733 097         | 21 232 615             |
| 030 | გადასახადები                                                                                                         | -                      | -                     | -                  |                        |
| 040 | სოციალური შენატანები                                                                                                 |                        |                       | -                  |                        |
| 050 | გრანტები                                                                                                             | 6 907 986              | 813 009               | 7 720 995          | 1 759 097              |
| 060 | <b>სხვა შემოსავლები</b>                                                                                              | <b>3 702 425</b>       | <b>12 309 677</b>     | <b>16 012 102</b>  | <b>19 473 518</b>      |
| 070 | ა. შემოსავლები საკუთრებიდან                                                                                          | -                      | 128 989               | 128 989            | 267 481                |
| 080 | ბ. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია                                                                              | 1                      | 11 965 413            | 11 965 414         | 12 048 387             |
| 090 | გ. სანქციები, ჯარიმები, საურავები                                                                                    | 2 278 048              | 4 765                 | 2 282 813          | 6 334 991              |
| 100 | დ. ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული                                                              | 1 424 376              | 210 510               | 1 634 886          | 389 555                |
| 110 | ე. დაზღვევის (სიცოცხლის დაზღვევის გარდა) და სტანდარტული გარანტიის სქემით მიღებული პრემიები, ჩარიცხვები და მოთხოვნები | -                      | -                     | -                  | 433 104                |
| 120 | სულ                                                                                                                  | 833 493 127            | 13 122 686            | 846 615 813        | 835 970 316            |
| 130 | <b>ხარჯები</b>                                                                                                       |                        |                       |                    |                        |
| 140 | მომუშავეთა ანაზღაურება                                                                                               | 370 337 471            | 4 919 458             | 375 256 929        | 370 908 662            |
| 150 | საქონელი და მომსახურება                                                                                              | 262 541 934            | 5 318 376             | 267 860 310        | 222 114 478            |
| 160 | ძირითადი კაპიტალის მოხმარება                                                                                         | 34 489 536             | 1 148 229             | 35 637 765         | 42 890 423             |
| 170 | პროცენტი                                                                                                             | -                      | -                     | -                  | -                      |
| 180 | სუბსიდიები                                                                                                           | -                      | -                     | -                  | -                      |
| 190 | გრანტები                                                                                                             | 1 889 957              | 1 484 438             | 3 374 395          | 86 258 072             |
| 200 | სოციალური უზრუნველყოფა                                                                                               | 27 745 463             | 51 509                | 27 796 972         | 28 503 867             |
| 210 | სხვა ხარჯები                                                                                                         | 20 801 212             | 588 095               | 21 389 307         | 21 620 267             |
| 220 | <b>სულ</b>                                                                                                           | <b>717 805 573</b>     | <b>13 510 105</b>     | <b>731 315 678</b> | <b>772 295 769</b>     |
| 230 | <b>ფინანსური შედეგი</b>                                                                                              | <b>115 687 554</b>     | <b>- 387 419</b>      | <b>115 300 135</b> | <b>63 674 547</b>      |

ფორმა N3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება

| N   | დასახელება                                                                                                                                                          | საბიუჯეტო<br>სახსრები | არასაბიუჯეტო<br>სახსრები | მესამე<br>პირის<br>გადახდები | სულ 2019    |
|-----|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------|--------------------------|------------------------------|-------------|
| 010 | წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი                                                                                                                                     | 155 908 685           | - 362 298                | -                            | 155 546 387 |
| 020 | კორექტირებები:1                                                                                                                                                     | 14 327 766            | 1 022 306                | -                            | 15 350 072  |
| 030 | ცვეთა (+)                                                                                                                                                           | 34 489 536            | 1 148 229                | -                            | 35 637 765  |
| 040 | აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+ )2 | - 799 232 886         | 435 102                  | - -                          | 798 797 784 |
| 050 | მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)                                                                                                                              | 708 967 286           | - 104 009                | -                            | 708 863 277 |
| 060 | გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ზრდა/კლება (-/+)                                                                                                                | 5 968 232             | - 31 740                 | -                            | 5 936 492   |
| 070 | დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)                                                                                                                          | 68 913 524            | - 691 938                | -                            | 68 221 586  |
| 080 | კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)                                                                                                                         | - 4 777 926           | 266 662                  | - -                          | 4 511 264   |
| 090 | წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან                                                                                                                     | 170 236 451           | 660 008                  | -                            | 170 896 459 |
| 100 | ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან                                                                                        |                       |                          | -                            |             |
| 110 | არაფინანსური აქტივების გაყიდვა                                                                                                                                      | -                     | -                        | -                            | -           |
| 120 | ძირითადი აქტივები                                                                                                                                                   |                       |                          | -                            | -           |
| 130 | ფასეულობები                                                                                                                                                         |                       |                          | -                            | -           |
| 140 | არაწარმოებული აქტივები                                                                                                                                              |                       |                          | -                            | -           |
| 150 | საინვესტიციო ქონება                                                                                                                                                 |                       |                          | -                            |             |
| 160 | არაფინანსური აქტივების შესყიდვა                                                                                                                                     | 170 140 117           | 692 717                  | -                            | 170 832 834 |
| 170 | ძირითადი აქტივები                                                                                                                                                   | 170 133 607           | 689 866                  | -                            | 170 823 473 |
| 180 | ფასეულობები                                                                                                                                                         | -                     | -                        | -                            | -           |
| 190 | არაწარმოებული აქტივები                                                                                                                                              | 6 510                 | 2 851                    | -                            | 9 361       |
| 200 | საინვესტიციო ქონება                                                                                                                                                 |                       |                          | -                            |             |
| 210 | წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან                                                                                           | - 170 140 117         | - 692 717                | - -                          | 170 832 834 |
| 220 | ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან                                                                                                                   |                       |                          | -                            |             |
| 230 | წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა                                                                                                                  | -                     |                          | -                            | -           |
| 240 | წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა                                                                                                                                     | 2 710                 |                          | -                            | 2 710       |
| 250 | წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან                                                                                                                      | 2 710                 | -                        | -                            | 2 710       |
| 260 | ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილებანი                                                                                                                        | 99 044                | - 32 709                 | -                            | 66 335      |
| 270 | ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში                                                                                                                              | 632 578               | 3 702 788                | -                            | 4 335 366   |
| 280 | ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს                                                                                                                                   | 731 622               | 3 670 079                | -                            | 4 401 701   |
| 290 | ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორის სხვაობა (-/+)                                                                                                            |                       |                          | -                            | 0           |
| 300 | დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტირები)                                                                                                                            |                       |                          | -                            | 0           |

**ფორმა N4: წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება**

| N   | დასახელება                                                   | საბიუჯეტო<br>სახსრები | არასაბიუჯეტო<br>სახსრები | სულ           |
|-----|--------------------------------------------------------------|-----------------------|--------------------------|---------------|
| 010 | საწყისი ნაშთი                                                | 4 591 519 084         | 63 166 585               | 4 654 685 669 |
| 020 | სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები                              |                       |                          | 0             |
| 030 | წინა პერიოდ(ებ)ის შეცდომები                                  |                       |                          | 0             |
| 040 | გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი (10+20+30)                    | 4 591 519 084         | 63 166 585               | 4 654 685 669 |
| 050 | არასაოპერაციო შემოსავლები (060+070)                          | 806 110 397           | 35 096                   | 806 145 493   |
| 060 | კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი                    | 4 595 910             | 2 816                    | 4 598 726     |
| 070 | სხვა არასაოპერაციო შემოსავლები                               | 801 514 487           | 32 280                   | 801 546 767   |
| 080 | არასაოპერაციო ხარჯები (090+100)                              | 764 129 972           | 3 348                    | 764 133 320   |
| 090 | კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი                         | 35 240                | 95                       | 35 335        |
| 100 | სხვა არასაოპერაციო ხარჯები                                   | 764 094 732           | 3 253                    | 764 097 985   |
| 110 | ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები<br>საკასო შესრულებით | 1 759 294             | 6 627                    | 1 765 921     |
| 120 | საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი                      | 115 687 554           | -387 419                 | 115 300 135   |
| 130 | ნაშთი წლის ბოლოს (040+050-080-110+120)                       | 4 747 427 769         | 62 804 287               | 4 810 232 056 |

ფორმა N5: ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება

| N   | დასახელება                     | 2019 წლის<br>ბიუჯეტით<br>დამტკიცებულ<br>ი გეგმით | 2019 წლის<br>დაზუსტებულ<br>ი გეგმით | გადახრა %<br>დაზუსტებულ<br>და<br>დამტკიცებულ<br>გეგმას შორის | 2019 წლის<br>საკასო<br>(ფაქტობრივ<br>ი) ხარჯი | გადახრა %<br>საკასო<br>(ფაქტობრივ)<br>ხარჯსა და<br>დაზუსტებულ<br>გეგმას<br>შორის | 2019 წლის<br>დარიცხულ<br>ი ხარჯი | გადახრა<br>დარიცხულ<br>და საკასო<br>(ფაქტობრივ)<br>ხარჯს<br>შორის |
|-----|--------------------------------|--------------------------------------------------|-------------------------------------|--------------------------------------------------------------|-----------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------|----------------------------------|-------------------------------------------------------------------|
| 010 | ხარჯები                        | 631 523 000                                      | 644 477 577                         | -2,05                                                        | 646 874 621                                   | -0,37                                                                            | 717 805 573                      | 70 930 952                                                        |
| 020 | მათ შორის:                     |                                                  |                                     |                                                              |                                               |                                                                                  |                                  |                                                                   |
| 030 | შრომის<br>ანაზღაურება          | 376 394 000                                      | 370 364 843                         | 1,60                                                         | 370 313 075                                   | 0,01                                                                             | 370 337 471                      | 24 396                                                            |
| 040 | არაფინანსური<br>აქტივების ზრდა | 243 477 000                                      | 190 982 120                         | 21,56                                                        | 176 008 095                                   | 7,84                                                                             |                                  |                                                                   |
| 050 | ფინანსური<br>აქტივების ზრდა    | -                                                | -                                   |                                                              | -                                             | -                                                                                | -                                | -                                                                 |
| 060 | ვალდებულებებ<br>ის კლება       | -                                                | -                                   | -                                                            | -                                             | -                                                                                | -                                | -                                                                 |

## კონსოლიდირებული ერთეულები

| 2019 წლის                                                       | კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში,                                                    |
|-----------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------|
| კონსოლიდირებულია შემდეგი კომპონენტების ფინანსური ანგარიშგებები: |                                                                                           |
| /                                                               | სამინისტროს აპარატი;                                                                      |
| /                                                               | სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა                                         |
| /                                                               | სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი                       |
| /                                                               | სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია               |
| /                                                               | სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო                                                            |
| /                                                               | სსიპ - გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი |
| /                                                               | სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი დელტა                              |
| /                                                               | სსიპ - გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი                                                   |
| /                                                               | სსიპ - სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი                                      |
| /                                                               | სსიპ - რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი                                        |
| /                                                               | სსიპ - ინსტიტუტი ოპტიკა                                                                   |
| /                                                               | სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი                      |
| /                                                               | სსიპ - მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტი                                               |

## საკონტაქტო ინფორმაცია

---

### ანგარიშის ავტორები

ნინო ყიფიანი - [NKipiani@sao.ge](mailto:NKipiani@sao.ge)  
გურამ ყავლაშვილი - [GKavlashvili@sao.ge](mailto:GKavlashvili@sao.ge)  
თამარი ბარბაქაძე - [TBarbaqadze@sao.ge](mailto:TBarbaqadze@sao.ge)  
ზოია შიშინაშვილი - [Zshishinashvili@sao.ge](mailto:Zshishinashvili@sao.ge)  
ნათია ტეფნაძე - [NTephnadze@sao.ge](mailto:NTephnadze@sao.ge)  
ქეთევან ჩახვაძე - [KChakvadze@sao.ge](mailto:KChakvadze@sao.ge)

---

### ვებგვერდი და სოციალური მედია:

<https://sao.ge/>  
<https://budgetmonitor.ge/ka>  
<http://blog.sao.ge/>  
<http://www.sai.ge/main/>  
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>  
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>  
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

---

### ცხელი ხაზი:

(+995 32) 243 81 81

---

### ელექტრონული ფოსტა:

[sao@sao.ge](mailto:sao@sao.ge)

---

სახელმწიფო აუდიტის სამსახური  
ქ.თბილისი, 0144, ნმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96  
+995 32 243 84 38